

<p align="center">Confidentiality and non-disclosure conditions of the Georgian State Electrosystem, JSC</p>	<p align="center">სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ კონფიდენციალურობისა და გაუმჟღავნებლობის პირობები</p>
<p>Article 1. DEFINITIONS</p>	<p>მუხლი 1. განმარტებები</p>
<p>1. Permitted Purpose – goods delivery, service provision or construction works under the agreement (hereinafter - “Main Agreement”) concluded between Georgian State Electrosystem, JSC and any person.</p>	<p>1. ნებადართული მიზანი - სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემისა“ და ნებისმიერ პირს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით (შემდგომში - „ძირითადი ხელშეკრულება“) გათვალისწინებული საქონლის მიწოდება, მომსახურების განწევა ან სამშენებლო სამუშაო.</p>
<p>2. Confidential Information is information related to a Permitted Purpose, which</p>	<p>2. კონფიდენციალური ინფორმაცია - ნებადართულ მიზანთან დაკავშირებული ინფორმაცია:</p>
<p>2.1. is disclosed to the Recipient by the Disclosing Party in a hard copy or an electronic copy and designated by the Disclosing Party as ‘confidential’, or conveyed verbally and called ‘confidential’ by the Disclosing Party upon disclosure, which is confirmed by the Disclosing Party within ten (10) calendar days after the disclosure;</p>	<p>2.1. რომელსაც გამცემი მხარე გადასცემს მიმღებ მხარეს წერილობითი ფორმით ან ელექტრონული ასლის ან ორიგინალის სახით და აქვს გამცემი მხარის მიერ გაკეთებული მარკირება „კონფიდენციალური“, ან გადასცემს ზეპირი ფორმით და გამცემი მხარის მიერ გადაცემის მომენტში მოხსენიებულია, როგორც „კონფიდენციალური“, რაც გამცემმა მხარემ წერილობით უნდა დაადასტუროს გადაცემის თარიღიდან ათი (10) კალენდარული დღის ვადაში;</p>
<p>2.2. is not broadly known or publicly available;</p>	<p>2.2. რომელიც არ არის საყოველთაოდ ცნობილი ან საჯაროდ ხელმისაწვდომი;</p>
<p>2.3. in respect of which the Disclosing Party undertakes all measures to ensure confidentiality</p>	<p>2.3. რომლის კონფიდენციალურობის უზრუნველსაყოფადაც გამცემი მხარე მიმართავს ყველა ზომას.</p>
<p>3. Information is not deemed confidential if</p>	<p>3. ინფორმაცია არ წარმოადგენს კონფიდენციალურს, თუ იგი:</p>
<p>3.1. it was legally known to the Recipient upon disclosure of such information by the Disclosing Party, or</p>	<p>3.1. მართლზომიერად იყო ცნობილი მიმღები მხარისთვის გამცემი მხარის მიერ ასეთი ინფორმაციის გადაცემის მომენტისათვის;</p>
<p>3.2. it is broadly known and publicly available, or</p>	<p>3.2. არის საყოველთაოდ ცნობილი და საჯაროდ ხელმისაწვდომი;</p>
<p>3.3. it is disclosed by the Disclosing Party to third parties without restrictions,</p>	<p>3.3. შეზღუდვის გარეშე გადაეცემა მესამე მხარეებს გამცემი მხარის მიერ, ან;</p>
<p>3.4. it represents the ideas, concepts, methods, processes, systems, ways, etc. developed by the Recipient independently prior to the last transfer of similar Confidential Information by the Disclosing Party</p>	<p>3.4. წარმოადგენს იდეებს, კონცეფციებს, მეთოდებს, პროცესებს, სისტემებს, ხერხებს და ა.შ. რომლებიც შემუშავებულია მიმღები მხარის მიერ დამოუკიდებლად, გამცემი მხარის მიერ მსგავსი კონფიდენციალური ინფორმაციის ბოლო გადაცემის მომენტამდე;</p>
<p>3.5. it is acquired by the Recipient from a third party which is not, to the Recipient’s knowledge, under an obligation to the Disclosing Party not to disclose such information, or</p>	<p>3.5. მიმღებმა მოიპოვა მესამე მხარისგან, რომელსაც მიმღების ინფორმაციით, არ აქვს ვალდებულება გამცემ მხარესთან, რომ არ გაამჟღავნოს მსგავსი ინფორმაცია.</p>
<p>4. Third Party - any individual or legal person, excluding the Disclosing Party, Recipient Party, employees and subcontractors of the Recipient and the Disclosing Party.</p>	<p>4. მესამე მხარე - ნებისმიერი ფიზიკური ან იურიდიული პირი, გამცემი მხარის, მიმღები მხარის, მიმღები მხარის თანამშრომლებისა და ქვეკონტრაქტორების გამოკლებით.</p>
<p>5. Recipient Party – Party of the Main Agreement, excluding Georgian State Elctrosystem, JSC</p>	<p>5. მიმღები მხარე - ძირითადი ხელშეკრულების მხარე, გარდა სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემისა“.</p>
<p>6. Disclosing Party – Georgian State Elctrosystem, JSC</p>	<p>6. გამცემი მხარე - სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“.</p>
<p>7. Parties - The Disclosing party and the Recipient party jointly.</p>	<p>7. მხარეები - გამცემი მხარე და მიმღები მხარე ერთობლივად.</p>

<p>Article 2. Disclosure of Confidential Information</p>	<p>მუხლი 2. კონფიდენციალური ინფორმაციის გამჟღავნება</p>
<p>1. The Recipient could disclose Confidential Information without consent of the Disclosing Party to:</p>	<p>1. მიმღებ მხარეს შეუძლია გასცეს კონფიდენციალური ინფორმაცია გამცემი მხარის თანხმობის გარეშე შემდეგ მხარეებზე:</p>
<p>1.1. subcontractors for the purpose of obtaining service, goods, construction works procurement. The Recipient assumes the same responsibility for the activities of such persons as for its own activities;</p>	<p>1.1. ქვეკონტრაქტორებისგან მომსახურების, საქონლის, სამშენებლო სამუშაოების შესყიდვის მიღების მიზნით. მიმღები მხარე მათ ნაცვლად იღებს იმავე პასუხისმგებლობას, როგორც საკუთარ ქმედებებზე;</p>
<p>1.2. government bodies authorized to request such information under the effective law, on the basis of an adequately documented request to provide such information, in which case the Recipient assumes no responsibility for such disclosure;</p>	<p>1.2. სახელმწიფო ორგანოებზე, რომლებიც კანონმდებლობის შესაბამისად, უფლებამოსილი არიან მოითხოვონ კონფიდენციალური ინფორმაცია, შესაბამისი წესით დოკუმენტირებული მოთხოვნის საფუძველზე. ასეთ შემთხვევაში მიმღები არ იღებს პასუხისმგებლობას ინფორმაციის გამჟღავნებაზე;</p>
<p>1.3. judicial bodies and to its representatives in defending and exercising its rights hereunder.</p>	<p>1.3. სასამართლო ხელისუფლებაზე და მის წარმომადგენლებზე მათი უფლებების დაცვისა და რეალიზაციისთვის.</p>
<p>2. In any other case, except those described in paragraph 1 of the Article 2 hereunder, the Recipient should disclose Confidential Information to third parties only with the written consent of the Disclosing Party.</p>	<p>2. ნებისმიერ სხვა შემთხვევაში, გარდა ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევებისა, მიმღებმა უნდა გასცეს კონფიდენციალური ინფორმაცია მესამე მხარეებზე მხოლოდ გამცემი მხარის წერილობითი თანხმობით.</p>
<p>Article 3. Protection of Confidential Information</p>	<p>მუხლი 3. კონფიდენციალური ინფორმაციის დაცვა</p>
<p>1. The Recipient should take reasonable steps as required by professional standards to protect Confidential Information from illegal disclosure to Third Parties using the same level of care that it uses to protect its own confidential information of like kind.</p>	<p>1. მიმღები მხარე ვალდებულია მიიღოს პროფესიული სტანდარტების შესაბამისი გონივრული ზომები კონფიდენციალური ინფორმაციის მესამე მხარეებისთვის არამართლმომიერი გამჟღავნების აღკვეთის მიზნით. ამასთან, იგი ვალდებულია გამოიჩინოს ისეთივე სიფრთხილე, როგორსაც გამოიჩენდა მსგავსი ტიპის საკუთარი კონფიდენციალური ინფორმაციის დასაცავად.</p>
<p>2. The Recipient should advise its employees as well as its subcontractors (prior to disclosure of Confidential Information under paragraph 1.1 of the Article 2 of this Conditions), of the Recipient's obligations hereunder.</p>	<p>2. მიმღებმა მხარემ უნდა გააცნოს მასთან დასაქმებულებს და ასევე ქვეკონტრაქტორებს (კონფიდენციალური ინფორმაციის გამჟღავნებამდე წინამდებარე პირობების მე-2 მუხლის 1.1 პუნქტის შესაბამისად) მიმღები მხარის პასუხისმგებლობების შესახებ.</p>
<p>Article 4. Ownership</p>	<p>მუხლი 4. საკუთრების უფლება</p>
<p>Confidential Information remains to be property of the Disclosing Party. No trade secret, copyright, or other right is granted to the Recipient by this Conditions or by any disclosure of Confidential Information hereunder.</p>	<p>1. კონფიდენციალური ინფორმაცია რჩება გამცემი მხარის საკუთრებად. წინამდებარე ხელშეკრულება ან კონფიდენციალური ინფორმაციის გადაცემის ფაქტი არ წარმოადგენს მიმღები მხარისთვის რამე უფლებათა გადაცემას, რაც უკავშირდება კომერციულ საიდუმლოებას, საავტორო ან სხვა უფლებებს.</p>
<p>Article 5. Return or Destruction</p>	<p>მუხლი 5. დაბრუნება ან განადგურება</p>
<p>1. In consideration of the restriction described in paragraphs 3 and 4 of the Article 5 hereunder, the Disclosing Party may request at any time during the term of this Conditions that the Recipient:</p>	<p>1. ამ მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტებში აღწერილი შეზღუდვების გათვალისწინებით, წინამდებარე პირობების ვადის განმავლობაში, გამცემ მხარეს ნებისმიერ დროს შეუძლია მოითხოვოს მიმღებისგან:</p>

1.1. return any original copies of Confidential Information previously provided to the Recipient or subcontractor;	1.1. მიმღების ან ქვეკონტრაქტორის მფლობელობაში არსებული კონფიდენციალური ინფორმაციის ნებისმიერი მყარი და ელექტრონული ორიგინალის ან ასლის დაბრუნება;
1.2. Destroy any hard copies and electronic copies of Confidential Information held by the Recipient or subcontractor.	1.2. მიმღების ან ქვეკონტრაქტორის მფლობელობაში არსებული კონფიდენციალური ინფორმაციის ნებისმიერი მყარი და ელექტრონული ორიგინალის ან ასლის განადგურება.
2. Request to return and/or destroy copies of Confidential Information should be provided in writing form to the Recipient by the Disclosing Party not later than twenty (20) days prior to the proposed date of return and/or destruction.	2. კონფიდენციალური ინფორმაციის ორიგინალის ან ასლის დაბრუნების და/ან განადგურების მოთხოვნა გამცემმა მხარემ მიმღებ მხარეს წერილობით უნდა აცნობოს ინფორმაციის დაბრუნების და/ან განადგურების სასურველ თარიღამდე მინიმუმ ოცი (20) დღით ადრე.
3. The Disclosing Party accepts and agrees that the IT and OT systems of the Recipient hereunder could keep archived copies of Confidential Information. The Recipient herein could keep archived copies of Confidential Information as required by the relevant internal procedures. In which case the Recipient should provide copies of internal procedures certified by the appropriate rule. Only the internal procedures entered in to force prior to the transfer of Confidential Information to the Recipient, are considered.	3. გამცემი მხარე აცნობიერებს და ეთანხმება, რომ მიმღების IT და OT სისტემებზე შესაძლებელია ინახებოდეს კონფიდენციალური ინფორმაციის დაარქივებული ასლები. ამდენად, მიმღებს შეუძლია შეინარჩუნოს კონფიდენციალური ინფორმაციის დაარქივებული ასლები შესაბამისი შიდა პროცედურების გათვალისწინებით. ასეთ შემთხვევაში, მიმღები ვალდებულია წარმოადგინოს შესაბამისი შიდა პროცედურების სათანადო წესით დამონმებული ასლები. მხედველობაში მიღებული იქნება მხოლოდ ის შიდა პროცედურები, რომლებიც ძალაში შევიდა კონფიდენციალური ინფორმაციის მიმღებისთვის გადაცემამდე.
4. The Disclosing Party accepts and agrees that the Recipient hereunder could keep the copies of Confidential Information required for the purpose of internal audit for compliance with the professional standards.	4. გამცემი მხარე აცნობიერებს და ეთანხმება, რომ პროფესიულ სტანდარტებთან შესაბამისობისთვის, მიმღებს შეუძლია შეინახოს შიდა აუდიტისთვის საჭირო კონფიდენციალური ინფორმაციის ასლები.
5. Obligations of the Recipient not to disclose Confidential Information kept in archived or any other copies described in paragraphs 3 and 4 of the Article 5 hereunder should be valid during the term of the Main Conditions.	5. წინამდებარე პირობების ამ მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტებში აღწერილი საარქივო ან სხვა ასლებში დაცული კონფიდენციალური ინფორმაციის გაუვრცელებლობის ვალდებულება, რომელიც მიმღებმა მხარემ იკისრა, ინარჩუნებს ძალას ძირითადი ხელშეკრულების მოქმედების მთელი ვადის განმავლობაში.
Article 6. Responsibility	მუხლი 6. პასუხისმგებლობა
1. The Recipient is liable to reimburse of damage caused by non-fulfillment of obligations contemplated in this conditions to the fullest extent according to the rules determined by the Georgian legislation.	1. წინამდებარე პირობებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის მიმღებ მხარეს ეკისრება ვალდებულება ანაზღაუროს მიყენებული ზარალი სრული მოცულობით საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
Article 7. Validity Period of the Conditions	მუხლი 7. პირობების მოქმედება დროში
1. This Conditions comes into force upon signing the Main Agreement by the Parties and remains valid within five (5) years from the expiration of the term of the Main Agreement.	1. წინამდებარე პირობები მხარეების მიმართ ძალაში შედის მათ მიერ ძირითადი ხელშეკრულების ხელმოწერისთანავე და მოქმედებს ძირითადი ხელშეკრულების მოქმედების ვადის ამოწურვიდან 5 წლის განმავლობაში.
Article 8. Miscellaneous	მუხლი 8. დასკვნითი დებულებანი

<p>1. The Disclosing Party represents and warrants that it possesses the legal right and authority to disclose Confidential Information to the Recipient.</p>	<p>1. გამცემი მხარე აცხადებს და იძლევა გარანტიას, რომ მას აქვს მიმღები მხარისთვის კონფიდენციალური ინფორმაციის გადაცემის უფლებამოსილება.</p>
<p>2. Neither Party could use the other Party's name, trademarks and/or logo without prior written consent of such Party.</p>	<p>2. არცერთი მხარე არ არის უფლებამოსილი გამოიყენოს მეორე მხარის სახელი, სასაქონლო ნიშანი და/ან ლოგო, ამ მხარის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე.</p>
<p>3. Neither Party could assign its rights and/or liabilities hereunder without prior written consent of the other Party.</p>	<p>3. მეორე მხარის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე, არცერთი მხარე არ არის უფლებამოსილი გადასცეს მესამე მხარეს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული თავისი უფლებები და/ან ვალდებულებები.</p>
<p>4. Georgian law governs the validity, interpretation and performance of this Conditions.</p>	<p>4. წინამდებარე პირობების იურიდიული ძალა განისაზღვრება, ასევე მისი განმარტება და შესრულება ხდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.</p>
<p>5. All disputes and disagreements, which arise or which could arise from, or as a result of, this Conditions should be resolved by the Parties by means of negotiations. If the Parties are not able to resolve disputes by means of negotiations, the matter should be forwarded to the appropriate Georgian Court.</p>	<p>5. წინამდებარე პირობებთან დაკავშირებით ან მისგან გამომდინარე ნებისმიერი დავა ან უთანხმოება უნდა გადაწყდეს მხარეთა მოლაპარაკების გზით. თუ მხარეები ვერ მოახერხებენ დავის მოლაპარაკების გზით გადაჭრას, საქმე განსახილველად გადაეცემა საქართველოს შესაბამის სასამართლოს.</p>
<p>6. Information about any amendments to this Conditions should be notified in written form to the Recipient Party. Amended conditions enters in force after the Recipient receives information regarding the amendments.</p>	<p>6. ინფორმაცია წინამდებარე პირობების ნებისმიერ ცვლილებაზე წერილობით უნდა ეცნობოს მიმღებ მხარეს. შეცვლილი პირობები მიმღების მიმართ მოქმედებს ცვლილების შესახებ ინფორმაციის მიღებიდან.</p>
<p>7. Any negotiations and correspondence about the subject or terms of this Conditions, which took place prior to its signing by the Parties, with the exception of the conditions stated in paragraph 1 of the Article 1, become invalid after this Conditions comes into force.</p>	<p>7. ნებისმიერი მოლაპარაკება ან მიმოწერა, რომელიც ეხება წინამდებარე პირობების საგანს ან პირობებს და რომელსაც ადგილი ჰქონდა მხარეთა მიერ მის ძირითადი ხელშეკრულების ხელმოწერამდე, გარდა პირველი მუხლის პირველ პუნქტში აღნიშნული ხელშეკრულებისა, ძალას კარგავს ამ პირობების მხარეების მიმართ ძალაში შესვლის მომენტიდან.</p>
<p>8. The conditions is prepared in Georgian and English languages, in two copies, one for each party. In case of contradiction between Georgian and English texts, the text in Georgian language prevails.</p>	<p>8. პირობები შედგენილია ქართულ და ინგლისურ ენაზე. ქართულ და ინგლისურ ტექსტებს შორის წინააღმდეგობის შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება ქართულ ენაზე შედგენილ ტექსტს.</p>